

დაკარგული წიგნები

ავტორი [ირმა ტაველიძე](#)

„დედის საათი დამეკარგა, ნახე, თუ გნებავს –
ძვირფასი სახლის დაკარგვაც რა მშვიდად შევძელი!
უფრო მარტივი ხელოვნება არ მეგულება“.
ელიზაბეთ ბიშოპი, „ერთი ხელოვნება“[1]

ეს ზაფხული ჯოზეფ კონრადის იყო – ყველაფერი გადავიკითხე, რაც ხელში მომხვდა. ბოლოს „ლორდი ჯიმის“ ძებნას შევუდექი, წიგნების სვეტებს მრავალჯერ ავაყოლ-ჩავყოლე თვალი, მაგრამ მხოლოდ რუსულ თარგმანს მივაგენი, წლების წინ ბუკინისტთან ნაყიდსა და შეყვითლებულს. არადა, მინდოდა, ინგლისურად წამეკითხა, მწერლის ენას კიდევ ერთხელ დავკვირვებოდი – იქნებ რაღაც უფრო მეტი მომეხელთებინა, ჯადოქრის საიდუმლოს უფრო მეტად მივახლოვებოდი.

მქონდა. კარგად მახსოვს, რომ „ლორდი ჯიმი“ იმ ენაზეც მქონდა, რომელზეც დაიწერა და რომლის შესაძლებლობების უბადლო ნიმუშადაც იქცა.

ვისთვის უნდა მეთხოვებინა? ვის ვნახავდი, ვისაც ამ წიგნისკენ თვალი გაექცეოდა და დასაწყისიდანვე ისე შეიყვარებდა მთავარ გმირს, როგორც მე მიყვარდა?

გული დავიმშვიდე – ისიც ჩვენია, რაც აღარ ჩანს და რის მოსაძებნადაც, უბრალოდ, ძალა აღარ გვყოფნის-მეთქი. ერთ ღღესაც შეიძლება მოულოდნელად წავაწყდეთ და სიხარულითაც შევკივლოთ-მეთქი.

*

ეს წიგნი მაშინ დავკარგე, მესამე კლასში რომ გადავდიოდი. ბაკურიანის ბიბლიოთეკისა იყო და წაუკითხავად დავაბრუნე იმავე ბიბლიოთეკაში. ტყის სიახლოვით მონუსხულმა, ახალ გასართობებს გადაყოლილმა კითხვას გული ვერ დავუდე. შეიძლება რთულად მომეჩვენა, დასაწყისმა გამაწვალა... არადა, რა მღელვარებით გამოვართვი ბიბლიოთეკარს, როგორ მომეწონა ყდაზე დახატული მეზღვაური და შტურვალი, მარტივი ილუსტრაციებით გაფორმებული გვერდები. ტალღები. ანძები. იალქნები.

რატომღაც მგონია, რომ ვიღაც თოკის კიბეზეც ადიოდა და ქუდის ლენტებს ქარი უფრიალებდა.

რა ვიცოდი, რომ მთელი ცხოვრება სანანებლად მექნებოდა ეს გადადებული მოგზაურობა. ყველაზე გულდასაწყვეტი კი ის არის, რომ ვერც მწერალი დავიმახსოვრე და ვერც წიგნის სათაური. ნათარგმნი იყო – რუსულიდან? პოლონურიდან? იქნებ სულაც შვედურიდან?

იმ დროში დაბრუნება მინდა და შტურვალს ჩაფრენილი მეზღვაურის შესახებ ყველა წვრილმანის შეტყობა... წიგნიდან თავს არ ავიღებდი, ოკეანის სიღრმეში ჩავიკარგებოდი, განსაცდელს გავუძლებდი, გადასატანს გადავიტანდი და თუ ყველაფერი ღზინით დამთავრდებოდა, ბოლოს რაღაცას მეც წავიმღერებდი.

ბუკინისტებთან მოვძებნო? რა მოვძებნო?

*

ექვსასზე ცოტა მეტი იყო, უმთავრესად მამაჩემის ნაყიდი – სამოცდაათიანებში, ოთხმოციანებში, რაც ავირჩიე და ცალკე დავაწყვე – თვალის გასახარებლად. ჩემი წიგნებია-მეთქი, ვამბობდი და სიცოცხლის მათთან ერთად გატარებას ვაპირებდი. ოდესმე თაროებიც მექნებოდა და კედელიც, რომელსაც მთელ ამ სიმდიდრეს ვანდობდი. საოჯახო ბიბლიოთეკაში ქართული პროზისა და კლასიკოსების ტომები ეწყო, საჯაროდ ნაქები ნაშრომები, სახელმძღვანელოები, თვითმასწავლებლები... ჩემს წიგნებში კი სერვანტესა და შექსპირს, გოგოლსა და ტოლსტოის, დიკენსსა და მელვილს ნახავდი და კიდევ სხვებს, რომლებსაც აუღელვებლად ვერასდროს გავიხსენებ. პოეტური კრებულები. სადღაც შორს გამოცემული ალბომები.

წლების წინ სახლის დაცლა მოგვიხდა და მუყაოს ყუთებში განაწილებულმა წიგნებმაც მეზობლის სარდაფში დაიდეს ბინა. გამოთხოვება ვერ მოვახერხე, ყველაზე საყვარელ ყდებსაც კი ვერ გადავუსვი ხელი. ყველაფერი უჩემოდ მოხდა. სიჩქარეში.

იქნებ არც არის დაკარგული და არც ის სარდაფია მეტისმეტად ნესტიანი, თავგებდრავალი? იქნებ ისევ გვიწერია შეხვედრა?

დაკარგვის ხელოვნება. როცა წარმოიდგენ და მერე სხვა მხარეს იხედები.

[\[1\]](#) ლელა სამნიაშვილის თარგმანი